საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წარმომადგენლობითი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 03

ქ. ბათუმი 25 სექტემბერი 2007 წ.

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის -
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის საფასურის
ტარიფებისა და სტუდენტთა მიერ სწავლის საფასურის
გადახდის წესის დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) წარდგინებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის სხდომის №17 ოქმის საფუძველზე

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტის) სწავლის საფასურის ტარიფები (**დანართი 1**) და სტუდენტთა მიერ სწავლის საფასურის გადახდის წესი (**დანართი 2**).

2. ამ გადაწყვეტილების ამოქმედებიდან ეთხოვოს უნივერსიტეტის რექტორს ძალადაკარგულად გამოაცხადოს „2006-2007 სასწავლო წლისათვის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლების ტარიფების დადგენის, ამოქმედების და არასაბიუჯეტო სექტორის სტუდენტთა მიერ სწავლის საფასურის გადახდის წესის შესახებ“ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 15 სექტემბრის №1-170 ბრძანება.

3. გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2007 წლის 1 ოქტომბრიდან.

წარმომაგენლობითი საბჭოს სპიკერი ვ. შამილაძე

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის საფასურის ტარიფები

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და პედაგოგიკის ფაკულტეტი

ა) სპეციალობა - ქართული ენა და ლიტერატურა, ქართული ენა ლიტერატურა დამატებით ბერძნული ენა, ქართული ენა და ლიტერატურა დამატებით თურქული ენა.
I. კურსი - 1500 ლარი
II. კურსი – 1250 ლარი
III. კურსი – 1000 ლარი
IV. კურსი – 230 დოლარის ექვივალენტი ლარებში;

ბ) სპეციალობა – რუსული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა ეროვნული სკოლებისათვის.
I. კურსი - 1500 ლარი
II. კურსი – 1250 ლარი
III. კურსი – 1000 ლარი
IV. კურსი – 150 დოლარის ექვივალენტი ლარებში

გ) სპეციალობა – ინგლისური ენა და ლიტერატურა; ინგლისური ენა მთარგმნელ–რეფერენტი.
I. კურსი - 1500 ლარი
II. კურსი – 1250 ლარი
III. კურსი – 1500 ლარი
IV. კურსი – 300 დოლარის ექვივალენტი ლარებში.

დ) სპეციალობა - მთარგმნელ რეფერენტი (ყოფილი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპეციალობა)
III. კურსი – 1500 ლარი.
IV. კურსი – 300 დოლარის ექვივალენტი ლარებში.
IV. კურსი - 200 დოლარის ექვივალენტი ლარებში (ყოფილი აგრარული ბიოტექნო;ოგიებისა და ბიზნესის ინსტიტუტის სპეციალობა).

ე) სპეციალობა – გერმანული ენა და ლიტერატურა, ფრანგული ენა ლიტერატურა, თურქული ენა და ლიტერატურა; ბერძნული ენა და ლიტერატურა.
I. კურსი - 1500 ლარი
II. კურსი – 1250 ლარი
III. კურსი – 1250 ლარი
IV. კურსი – 300 დოლარის ექვივალენტი ლარებში.

ვ) სპეციალობა – დაწყებითი განათლება, ფიზიკური აღზრდა, დაწყებითი სამხედრო მომზადება და ფიზიკური აღზრდა.
I. კურსი - 1500 ლარი
II. კურსი – 1250 ლარი
III. კურსი – 1000 ლარი
IV. კურსი – 230 დოლარის ექვივალენტი ლარებში.

2. ზუსტ და ტექნიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ა) სპეციალობა – მათემატიკა; ფიზიკა–გამოთვლითი ტექნიკა და ინფორმატიკა ინფორმაციის დამუშავებისა და მართვის ავტომატიზირებული სისტემები.
I. კურსი - 1500 ლარი
II. კურსი – 1000 ლარი
III. კურსი – 1000 ლარი და 1500 ლარი (ყოფილი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპეციალობისათვის)
IV. კურსი – 230 დოლარის ექვივალენტი ლარებში
IV. კურსი ინფორმაციის დამუშავებისა და მართვის ავტომატიზირებული სისტემები - 250 დოლარის ექვივალენტი ლარებში (ყოფილი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპეციალობისათვის).

ბ) სპეციალობა – ბიზნეს ინფორმატიკა
მეოთხე კურსი – 240 დოლარის ექვივალენტი ლარებში

3. სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი

ა) სპეციალობა – ფილოსოფია, კონფლიქტოლოგია
I. კურსი - 1500 ლარი
II. კურსი – 1500 ლარი
III. კურსი – 1000 ლარი
IV. კურსი – 230 დოლარის ექვივალენტი ლარებში.
IV. კურსი კონფლიქტოლოგია - 250 დოლარის ექვივალენტი ლარებში (ყოფილი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპეციალობისათვის).

ბ) სპეციალობა – ისტორია; თურქეთის ისტორია
I. კურსი - 1500 ლარი
II. კურსი – 1500 ლარი
III. კურსი – 1000 ლარი
IV. კურსი – 230 დოლარის ექვივალენტი ლარებში.

გ) სპეციალობა – დიპლომატიისა და საერთაშორისო ურფიერთობათა ისტორია ინგლისური ენით.
I. კურსი - 1500 ლარი
II. კურსი – 1500 ლარი
III. კურსი – 1250 ლარი
IV. კურსი – 250 დოლარის ექვივალენტი ლარებში.

დ) სპეციალობაზე – ფინანსები და საბანკო საქმე; აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი, სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა; საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები.
I. კურსი - 1500 ლარი
II. კურსი – 1500 ლარი
III. კურსი – 1500 ლარი
IV. კურსი – 300 დოლარის ექვივალენტი ლარებში.
IV. კურსი ფინანსები და საბანკო საქმე - 200 დოლარის ექვივალენტი ლარებში (ყოფილი აგრარული ბიოტექნოლოგიებისა და ბიზნესის ინსტიტუტის სპეციალობა).
IV. კურსი საბუღალტრო აღრიცხვა - 240 დოლარის ექვივალენტი ლარებში (ყოფილი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპეციალობა).

ე) სპეციალობა – სახელმწიფო მართვის მოხელე (ყოფილი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპეციალობა).
III. კურსი – 1500 ლარი
IV. კურსი – 300 დოლარის ექვივალენტი ლარებში

ვ) სპეციალობა – ბიზნესის ადმინისტრირება–კომერცია
IV. კურსი – 240 დოლარის ექვივალენტი ლარებში

ზ) სპეციალობა – ტურიზმის ბიზნესი

II. კურსი – 1500 ლარი
III. კურსი – 300 დოლარის ექვივალენტი ლარებში.

თ) სპეციალობა – ჟურნალისტიკა
I. კურსი - 1500 ლარი
II. კურსი – 1500 ლარი
III. კურსი – 1250 ლარი
IV. კურსი – 230 დოლარის ექვივალენტი ლარებში

ი) სპეციალობა – სამართალმცოდნეობა, საერთაშორისო სამართალი
I. კურსი - 1500 ლარი
II. კურსი – 1500 ლარი
III. კურსი – 1500 ლარი
IV. კურსი – 300 დოლარის ექვივალენტი ლარებში.

4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტი

ა) სპეციალობა – სამკურნალო საქმე
I. კურსი - 1500 ლარი
II. კურსი – 1250 ლარი
III. კურსი – 1500 ლარი
IV. კურსი – 350 დოლარის ექვივალენტი ლარებში
V. კურსი – 350 დოლარის ექვივალენტი ლარებში
VI. კურსი – 350 დოლარის ექვივალენტი ლარებში

ბ) სპეციალობა – სტომატოლოგია
I. კურსი - 1500 ლარი
II. კურსი – 1250 ლარი
III. კურსი – 1500 ლარი
IV. კურსი – 400 დოლარის ექვივალენტი ლარებში
V. კურსი – 400 დოლარის ექვივალენტი ლარებში
VI. კურსი – 400 დოლარის ექვივალენტი ლარებში

გ) სპეციალობა –ბიოლოგია, ქიმია, ქიმიურ–ფარმაცევტული მრეწველობის ტექნოლოგია, გეოგრაფია ეკოლოგიური ექსპერტიზით.
I. კურსი - 1500 ლარი
II. კურსი – 1250 ლარი
III. კურსი – 1000 ლარი
IV. კურსი – 230 დოლარის ექვივალენტი ლარებში

დ) სპეციალობა – ბიოლოგია გაძლიერებული ინგლისური ენით
I. კურსი - 1500 ლარი
II. კურსი – 1250 ლარი
III. კურსი – 1250 ლარი
IV. კურსი – 230 დოლარის ექვივალენტი ლარებში

ე) სპეციალობა – წყლის ბიორესურსები ეკოლოგიის საფუძვლებით
I. კურსი - 1500 ლარი
II. კურსი – 1250 ლარი
III. კურსი – 1000 ლარი
IV. კურსი – 150 დოლარის ექვივალენტი ლარებში

5. საინჟინრო–ტექნოლოგიური ფაკულტეტი

ა) სპეციალობა – სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა
I. კურსი - 1500 ლარი
II. კურსი – 1250 ლარი
III. კურსი – 1000 ლარი
IV. კურსი – 360 ლარი

ბ) სპეციალობა – ტელე კომუნიკაცია
I. კურსი - 1500 ლარი
II. კურსი – 1250 ლარი
III. კურსი – 1500 ლარი
IV. კურსი – 450 ლარი

გ) სპეციალობა - ნავთობგაზსადენებისა და ნავთობგაზსაცავების დაპროექტება, მშენებლობა და ექსპლოატაცია
I. კურსი - 1500 ლარი
II. კურსი – 1250 ლარი
III. კურსი – 1000 ლარი
IV. კურსი – 450 ლარი

დ) სპეციალობა – ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ქიმიური ტექნოლოგია

I. კურსი - 1500 ლარი
II. კურსი – 1250 ლარი
IV. კურსი – 450 ლარი

ე) სპეციალობები – მშენებლობის კომპიუტერული დაპროექტების სისტემები, საბაჟო საქმე სახმელეთო ტრანსპორტი; ნავთობისა და გაზის ბიზნესი, მენეჯმენტი სათბობენერგეტიკულ კომპლექსში, საერთაშორისო გადაზიდვებისა და ლოგისტიკის, მენეჯმენტი, მანქანათმშენებლობის, მენეჯმენტი, გადაზიდვის ორგანიზაცია და მართვა.
I. კურსი - 1500 ლარი
II. კურსი – 1250 ლარი
III. კურსი – 1250 ლარი
IV. კურსი – 450 ლარი

6. ხელოვნების ფაკულტეტი

ა) სპეციალობა – ხელოვნებათმცოდნეობა, ტელე–რადიო ჟურნალისტიკა, კინოხელოვნება, სახვითი ხელოვნება, დრამა.
I. კურსი - 1000 ლარი
II. კურსი – 1000 ლარი.

სასოფლო–სამეურნეო ფაკულტეტი

7. დაუსწრებელი სწავლება (მილევადი)

7.1. აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი, ფინანსები და საბარკო საქმე, საგადასახადო საბაჟო, სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა, სამართალმცოდნეობა.
IV. კურსი – 230 დოლარის ექვივალენტი ლარებში

7.1. სასოფლო–სამეურნეო ფაკულტეტი
ა) სპეციალობა – სატყეო-სამეურნეო
მეხუთე კურსი – 120 დოლარის ექვივალენტი ლარებში

ბ) სპეციალობა – აგრობიზნესი
მეხუთე კურსი – 120 დოლარის ექვივალენტი ლარებში

7.2. სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი
ა) სპეციალობა - დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობის ისტორია
IV. კურსი – 190 დოლარის ექვივალენტი ლარებში.
ბ) პედაგოგიური სპეციალობები
IV. კურსი – 150 დოლარის ექვივალენტი ლარებში.

8. სწავლის საფასური სასწავლო პროგრამის განმეორებით გავლისათვის
8.1. სასწავლო პროგრამის განმეორებით გავლისათვის დადგენილია სწავლის საფასური შემდეგი ოდენობით:
ა) სპეციალობაზე, სადაც სწავლის საფასურია 1000 ლარი - 17 ლარი ერთ კრედიტზე;
ბ) სპეციალობაზე, სადაც სწავლის საფასურის 1250 ლარი - 20 ლარი ერთ კრედიტზე;
გ) სპეციალობაზე, სადაც სწავლის საფასურია 1500 ლარი - 25 ლარ ერთ კრედიტზე;

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა მიერ სწავლის საფასურის გადახდის წესი

მუხლი 1. სწავლის საფასური

1. სწავლის საფასური არის უნივერსიტეტის ან სახელმწიფოს მიერ დადგენილი ტარიფის შესაბამისი გადასახდელი, რომელსაც სტუდენტი იხდის საგანმანათლებლო პროგრამის გავლისათვის უნივერსიტეტში დადგენილი წესით ჩარიცხვის შემდეგ.
2. სწავლის საფასური ანაზღაურდება ასევე სახელმწიფოს მიერ, იმ სტუდენტებისათვის რომლებიც მოიპოვებენ სახელმწიფო სასწავლო გრანტს.
3. ნაწილობრივი სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების შემთხვევაში სტუდენტი თავად იხდის განსხვავებას სასწავლო გრანტის ღირებულებასა და სწავლის საფასურს შორის.

მუხლი 2. სწავლის საფასური გადახდის ფორმა

1. სწავლის საფასური გადაიხდევინება პირადად სტუდენტის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ, ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით სტუდენტის მიერ მოპოვებული სასწავლო გრანტის პროცენტული ოდენობის შესაბამისად.
2. სწავლის საფასურის გადახდა შეიძლება როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარისსწორების ფორმით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. სტუდენტის მიერ სწავლის საფასურის გადახდა ხორციელდება უნივერსიტეტის მომსახურე საბანკო დაწესებულების სალაროში, ან განსაკუთრებულ შემთხვევაში უნივერსიტეტის სალაროს მეშვეობით თუ საბანკო დაწესებულების მიერ მომსახურება შეუძლებელია.
4. სტუდენტი ვალდებულია სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიღების უფლების მოსაპოვებლად გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია, რაც გულისხმობს სტუდენტის მიერ უნივერსიტეტის მომსახურე ბანკში სწავლის საფასურის შეტანასა და დარეგისტრირებას.
5. სტუდენტის რეგისტრაციის სხვა პირობები და წესი დამატებით განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.

მუხლი 3. სწავლის საფასურის გადახდის საფუძველი

1. სტუდენტის მიერ სწავლის საფასურის გადახდის საფუძველია სასწავლო წლის დასაწყისში მასთან გაფორმებული ხელშეკრულება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გაცემული სერტიფიკატი აბიტურიენტის მიერ ეროვნული გამოცდების გავლისა და სასწავლო გრანტის მოპოვების შესახებ, ასევე რექტორის ბრძანება სტუდენტის უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ.
2. სტუდენტებთან შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის იურიდიული და საფინანსო სამსახურები ყოველი სასწავლო წლის დასაწყისიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში.
3. სტუდენტთან გაფორმებულ სასწავლო ხელშეკრულებაში უნდა აისახოს ამ წესით დადგენილი სტუდენტის ფინანსური ვალდებულებები, სწავლის საფასურის გადახდის პირობები, ვადები, ასევე უნივერსიტეტის ვალდებულებები სტუდენტის მიმართ.

მუხლი 4. სტუდენტის ფინანსური ვალდებულებები და სწავლის საფასურის გადახდის ვადები

1. სტუდენტი ვალდებულია დადგენილი წესითა და ვადებში გადაიხადოს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სწავლის საფასური ან დაფაროს განსხვავება სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ სასწავლო გრანტსა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილ სწავლის საფასურს შორის.

2. სტუდენტი ყოველი სასწავლო წლის განმავლობაში ვალდებულია სწავლის საფასური გადაიხადოს სემესტრულად და შესაბამისად ორ ეტაპად, სწავლის საფასურის 50 % არაუგვიანეს პირველი სასწავლო სემესტრის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრისათვის სწავლის წლიური საფასურის 50 % არაუგვიანეს მეორე სასწავლო სემესტრის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში.

3. სტუდენტი ვალდებულია ყოველი სასწავლო სემესტრის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია საბანკო დაწესებულებაში სწავლის საფასურის გადახდის გზით.

4. დამამთავრებელი კურსის სტუდენტი (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტურანტურა) ვალდებულია გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია და ბოლო სემესტრის სწავლის საფასური გადაიხადოს არაუგვიანეს შესაბამისი საფეხურის ბოლო სასწავლო სემესტრის დაწყებიდან 30 დღის ვადაში.

5. დაუშვებელია სწავლის საფასურის დადგენილ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში მისი გადახდის ვადის რაიმე ფორმით გაგრძელება.

მუხლი 5. სწავლის საფასურის გადაუხდელობის შედეგები

1. ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობისა და სწავლის საფასურის დადგენილ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში, სტუდენტი დაიშვება სასწავლო პროცესში, ასევე შეფასებებზე, მაგრამ მას სწავლის საფასურის გადახდის დაგვიანებისათვის დაეკისრება დამატებითი თანხის გადახდა ამ მუხლით დადგენილი ოდენობით.

2. მეორე სემესტრის დაწყებისას სტუდენტის მიერ ახალი სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და გასული სემესტრის სწავლის საფასურის გადახდის შემთხვევაში, სტუდენტს სწავლის საფასურის გადახდის დაგვიანებისათვის, დამატებით, ეკისრება სწავლის სემესტრული გადაუხდელი საფასურის 0.1 %-ის გადახდა სასწავლო სემესტრის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

3. სტუდენტს, რომელსაც გააჩნია ნაწილობრივი სასწავლო გრანტი, სწავლის საფასურის გადახდის დაგვიანებისათვის ეკისრება სასწავლო გრანტის ფარგლებს გარეთ სემესტრში მის მიერ გადასახდელი სწავლის საფასურის 0.1 %-ის გადახდა სასწავლო სემესტრის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.;

4. თუ სტუდენტის მიერ მომდევნო სასწავლო სემესტრის დაწყების თარიღისათვის სრულად არ იქნება გადახდილი წინა სემესტრის სწავლის საფასური და სწავლის საფასურის გადახდის დაგვიანებისათვის დაწესებული თანხა, წყდება სტუდენტთან გაფორმებული სასწავლო ხელშეკრულება და სტუდენტს უწყდება სტუდენტის სტატუსი (ირიცხება).

5. თუ დამამთავრებელი კურსის სტუდენტს (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტურანტურა) შესაბამისი სწავლის საფეხურის ბოლო სემესტრის დაწყებიდან 30 დღის ვადაში არ გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას (არ გადაიხდის სწავლის საფასურს სრულად), სტუდენტთან წყდება სასწავლო ხელშეკრულება და უწყდება სტუდენტის სტატუსი (ირიცხება) ამ პუნქტით დადგენილი ვადის გასვლის მე-2 დღიდან;

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელი შესაბამისი წარდგინებით მიმართავს რექტორს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის (გარიცხვის) შესახებ ბრძანების გამოსაცემად.

7. რექტორის მიერ გამოცემული ბრძანება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის (გარიცხვის) შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სტატუსშეწყვეტილ (გარიცხულ) პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. სტუდენტს სწავლის საფასურის გადაუხდელობის ან სხვა საფუძვლით სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის და/ან უნივერსიტეტის ნებაყოფლობით დატოვების შემთხვევაში გასულ პერიოდში გადახდილი სწავლის საფასური უკან არ უბრუნდება.

9. სტუდენტს ასევე არ უბრუნდება სწავლის საფასური აკადემიური შევებულების აღების შემთხვევაში, მაგრამ საფასური ჩაეთველება შემდგომში სწავლის გაგრძელებისას.

მუხლი 6. შეღავათები სწავლის საფასურში

1. უნივერსიტეტში სწავლის საფასურის შეღავათებით სარგებლობენ მხოლოდ მშობლების მზრუნველობას მოკლებული (დედ-მამით ობოლი) სტუდენტები, რომლებიც საერთოდ თავისუფლდებიან სწავლის საფასურის გადასახადისაგან.

2. უნივერსიტეტში სწავლის საფასურის შეღავათები შეიძლება გავრცელდეს ასევე სპეციალური სოციალური პროგრამის ფარგლებში, სწავლის შედეგების მიხედვით, ფრიადოსანი სტუდენტებისათვის, რომლებიც არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების წევრები.

3. შეღავათების სახეებს, პირობებს, სტუდენტთა კატეგორიასა და შეღავათების განხორციელების წესს შეიმუშავებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და აკადემიური საბჭოს თანხმობით დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობითი საბჭოს.

4. ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად, რექტორი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით გამოსცემს ბრძანებას სტუდენტთა სწავლის საფასურის შეღავათებთან დაკავშირებით.

5. დაუშვებელია სტუდენტთა მიმართ რაიმე სახის ინდივიდუალური შეღავათების დაწესება სწავლის საფასურის გადახდისას, გარდა ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილი შემთხვევისა.

მუხლი 7. სწავლის საფასური სასწავლო პროგრამის განმეორებით გავლისათვის

სტუდენტი, რომელმაც ვერ მოიპოვა უნივერსიტეტის მიერ დადგენილი შეფასების წესით გათვალისწინებული მინიმალური ქულა, ვალდებულია გაიაროს სასწავლო პროგრამა განმეორებით, რისთვისაც ერთი კრედიტისათვის სტუდენტი ვალდებულია გადაიხადოს ამ წესის პირველი დანართით დადგენილი გადასახდელი.

მუხლი 8. გარდამავალი დებულებები

1. ყველა სტუდენტი, რომელსაც უნივერსიტეტის წინაშე გააჩნია გასული სემესრის (სასწავლო წლის) სწავლის საფასურის ნებისმიერი ოდენობის დავალიანება, ვალდებულია სრულად გადაიხადოს სწავლის საფასური 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 30 დღის ვადაში;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში სწავლის საფასურის დავალიანების სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, სტუდენტთან შეწყდება სასწავლო ხელშეკრულება და მას შეუწყდება სტუდენტის სტატუსი (გაირიცხება), რის შესახებაც გამოიცემა რექტორის ბრძანება;

3. სტუდენტი რომელსაც უნივერსიტეტთან გააჩნია რაიმე სახის (ოდენობის) ფინანსური დავალიანება, მაგრამ უკვე მინიჭებული აქვს აკადემიური ხარისხი (კვალიფიკაცია) ან გავლილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამები, მასზე არ გაიცემა დიპლომი, დოკუმენტი აკადემიური ხარისხის (კვალიფიკაციის) მინიჭების, საგანმანათლებლო პროგრამების მოსმენისა და სხვათა შესახებ ფინანსური ვალდებულების სრულად შესრულებამდე.

4. გარდამავალ პერიოდში, დაუსწრებელი სწავლების სპეციალობების სტუდენტთათვის წესდება სწავლის საფასურის გადახდა ასევე სემესტრულად, შესაბამისად ორ ეტაპად, სწავლის საფასურის 50 % არაუგვიანეს პირველი სასწავლო სემესტრის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრისათვის სწავლის წლიური საფასურის 50 % არაუგვიანეს სასწავლო სემესტრის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს სასწავლო სემესტრის დასრულებისა.

5. დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა მიერ სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში ასევე გამოიყენება ამ წესის მე-5 მუხლით დადგენილი ნორმები.

6. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი შეღავათები სტუდენტებზე ამოქმედდება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ სპეციალური პროგრამის დამტკიცების შემდეგ.